დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (ქ. ფოთი)
პროგრამა: ტვირთების ექსპედირება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნიკა ჯიაძე

წევრი:

ნათია ბუთხუზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 3 ივლისის N801035 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნიკა ჯიაძე, წევრი - ნათია ბუთხუზი დაევალა ვიზიტი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, მისამართი: (ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. 24) მიმდინარე წლის 15 ივლისს, ,,ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი თვითშეფასება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმდა დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ დაწესებულების ხელმძღვანელებს, ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი. განხორციელდა ვიზიტი და ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტებთან. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულებას წარუდგინეს ძირითადი მიგნებები.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაციები.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გაცემულა განმავითარებელი რეკომენდაციები.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის ბრძანება N01-145 14.06 2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი, სადაც პირველი მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა პასუხობდეს პროფესიული განათლების განვითარების პერსპექტივებსა და გამოწვევებს, საზღვაო აკადემიის მისიას და ეფუძნებოდეს მხარეების - პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების - გამოკითხვების ანალიზს.

დაწესებულების გადაწყვეტილება ,,ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე ეფუძნება დასაბუთებას, რომლის თანახმად საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების და პროექტების, ასევე საზღვაო ინდუსტრიის განვითარების ტემპის გათვალისწინებით, ქვეყანაში დასაქმების მნიშვნელოვანი შესაძლებლობებია მოსალოდნელი, რაც კვლევებით დასტურდება. საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვები, რომელიც ყოველწლიური მზარდი მაჩვენებლებით ხასიათდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2023 წლის შრომის ბაზრის ანალიზის თანახმად, „ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობამ 66,554 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 6.3%-ით აღემატება. აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 8.5%-ია.". შრომის ბაზრის შესწავლის შედეგებით გამოიკვეთა, პრიორიტეტული პროფესიები, რომლებიც საჭიროებენ ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას, მათ შორის ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში. კვლევებით დგინდება, რომ დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების შემთხვევაში, გადაზიდვების ზრდის პარალელურად არსებულ ბაზარზე გაიზრდება მოთხოვნა ისეთ პროფესიებზე, როგორებიცაა: სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის სპეციალისტი, ნავსადგურში მომუშავე დამხმარე პერსონალი, საზღვაო ბიზნესის მართვის სპეციალისტი.

ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ტვირთების გადამზიდავი ექსპედიტორული და სატრანსპორტო - ლოგისტიკური ფირმები, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციები, სატრანსპორტო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საექსპედიციო ფირმები, ლოგისტიკური ცენტრები, საბაჟო ტერმინალური კომპლექსები ესაა მცირე ჩამონათვალი სამუშაო ადგილებისა, სადაც შესაძლებელია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმება. ზოგადად სატრანსპორტო და მათ შორის საზღვაო ინდუსტრიაში დიდია მოთხოვნა ლოგისტიკაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე. დამსაქმებელთა ფორუმებზე, რომლებიც იმართება საზღვაო აკადემიის ორგანიზებით აღნიშნული სპეციალისტების მოთხოვნას სატრანსპორტო ინდუსტრიის წარმომადგენლებიც ადასტურებენ.

საქართველოს განვითარების სტრატეგია 2030-ს თანახმად „საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება, რაც გულისხმობს...ფოთის საპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი საპორტო ინფრასტრუქტურის პროექტების რეალიზებას. ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, შეიქმნება ლოგისტიკური ცენტრები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში.“
გარდა ამისა, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია 2017 წლიდან წარმატებით ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება. ეს გარკვეული წინაპირობაა, რომ დაწესებულებამ დაიმატოს განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდრტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა.

,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება შესაბამისობაში დაწესებულების მისიასთან. დაწესებულების მისიაა შეასრულოს საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების, კვლევების განხორციელების და ცოდნის საზოგადოებაში გავრცელების საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია; ასევე „უზრუნველყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კვლევის უნარებით აღჭურვილი პასუხისმგებლიანი სპეციალისტებისა და ლიდერების მომზადება თანამედროვე სტანდარტების პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და უწყვეტი განათლების საწვრთნელი კურსების საფუძველზე;“.

სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს - ,,განათლების უზრუნველყოფა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი, უწყვეტად განახლებადი, ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამებით“, რომლის ფარგლებში დაწესებულება გეგმავს ახალი საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების შემუშავებას და განხორციელების უფლების მოპოვებას, შესაბამისად, დაწესებულების გადაწყვეტილება ,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება მის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

რექტორის ბრძანება 2024 წლის 14 ივნისის N01-145 ბრძანებით დამტკიცებული ,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველი პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურები. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის № 16/2 გადაწყვეტილებით, რაც განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესს და კრიტერიუმებს. პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია: პროფესიული პროგრამის ხანგძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის - 40 პროფესიული სტუდენტი (ორ მიღებაზე) განსაზღვრისას დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, ადამიანური და მატერიალური რესურსის რაოდენობა და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობა.

4. განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და გათვლილია ოც კაციან ჯგუფებზე. პროფესიულ მოდულებში მითითებულია სტანდატით გათვალისწინებული სარეკომენდაციო ლიტერატურა და დამატებით სასწავლო რესურსის ნუსხა. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევითი მოდულ/ებ/ს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“, რომლის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე პასუხსიმგებელი პირი არის საზღვაო აკადემიის რექტორი. ,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 14 ივნისის N01-145 ბრძანებით.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ტვირთების ექსპედირება“ იდენტურია პროგრამის საფუძველი პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებასთან - „ტვირთების ექსპედირება“. პროგრამის დასახელება და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. **დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი „ტვირთების ექსპედირება“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.2.1) პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი;
2. „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის № 16/2 გადაწყვეტილებით;
3. რექტორი ბრძანება (20 / მარტი / 2024 წლის No02-184) სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
4. დანართი 7. ოქმი №46 პროგრამის განხილვა, გარემოს განსაზღვრა
5. ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:**

დაწესებულებას „ტვირთების ექსპედირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილი აქვს ერთი მხრივ დაწესებულების მფლობელობაში არსებული შემდეგი რესურსით:

A/C სასწავლო გარემო (102 აუდიტორია), რომელიც გამოყენებული იქნება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის მხოლოდ ,,ტვირთების ექსპედირების პროგრამის ფარგლებში. აუდიტორია აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დემონსტირების ციფრული საშუალებით (პროექტორი), დაფით და პროფესიული დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად საჭირო და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბმისი მატერიალური რესურსით.

B სასწავლო გარემო (309, 310 და 311 აუდიტორია): 309 აუდიტორია - 20 სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი); 310 აუდიტორია - 20 სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი), 311 აუდიტორია - 15 სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი). სამივე აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დემონსტირების ციფრული საშუალებით (პროექტორი) და პრინტერი.

მეორე მხრივ, პრაქტიკის ობიექტების მფლობელეობაში არსებული რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს ,,ექსპრეს ტრანს - შიპმენთ სერვისეზ“, შპს ,,ჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ“, შპს ,,სოფმარ“ და ,,ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“. წარმოდგენილი მემორანდუმების თანახმად თითოეული პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს ყოველწლიურად არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის, ასევე, ცენტრში წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, კერძოდ კი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების და სასწავლო გეგმის შესწავლის საფუძველზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა პრაქტიკის ობიექტების მეერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის სტუდენტების გამტარობის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადაგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება გეგმავდა პროგრამაზე 40 პროფესიული სტუდენტის, თუმცა ყოველწლიურად 20-20 სტუდენტის მიღებას. აღნიშნული ნაკადები პროგრამის განხორციელების გარკვეულ ეტაპზე დაემთხვეოდა ერთმანეთს, სწორედ ამიტომ დაწესებულებას აღნიშნული აღქმული ჰქონდა როგორც ორ ცვლაში სწავლება, რაც ასახა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთებაში. რაც შეეხება, სასწავლო გეგმას, მათი, განმარტებით, ტექნიკურ უზუსტობას ჰქონდა ადგილი.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული დასაბუთება, რომელიც ნათლად ასახავდა დაწესებულების სურვილს და გეგმას სტუდენტთა მიღების ნაწილში - პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა 40, პროგრამების უწყვეტობისთვის ყოველწლიურად 20-20 პროფესიული სტუდენტი. ასევე, განახორციელა ცვლილება პროგრამის დამტკიცების ბრძანებაში და წარმოადგინა კორექტირებული სასწავლო გეგმა.

ცვლილებების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 4 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 8 დარგის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა არის 40 (ორ მიღებაზე). ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა, არ აღემატება კვირაში 40 საათს და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ვიზიტის დროს, განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაძლებლობას. პროფესიული განათლების მასწავლებლებს შესაბამის კვალიფიკაციასთან ერთად, აქვთ სამუშაო გამოცდილებაც, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული დიპლომებით, სერთიფიკატებით და სამუშაო გამოცდილების დამდასტურებელი დოკუმენტაციით. შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით (2024 წლის 14 ივნისის N01-145 ბრძანება) განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულება. პროგრამის ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმავდროულად არის პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი, რაც ასევე დასტურდება მასთან, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებით. პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მისი პირადი საქმით.

აკადემიის დირექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“-ში გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები. ასევე, სამუშაო აღწერილობაში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები. პროგრამის ხელმძრვანელთან გასაუბრებიუთ დგინდება რომ იგი იცნობს და აცნობიერებს მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებებს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროფესიულ სტუდენტს ექნება წვდომა ელექტრონულ კატალოგთან და სასწავლო რესურსების ელექტრონულ ვერსიებთან. აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რომლის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება პროგრამის სპეციფიკასთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, სამუშაო ადგილებით, ასლგადამღები აპარატით, პრინტერით, ასაკინძი საშუალებით.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც მე-20 მუხლში გაწერილია, რომ საზღვაო აკადემია ცენტრთან ერთად უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლა ან/და დამატებით სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული მასწავლებელი დაადგენს, რომ სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის სტანდარტული მიდგომით შექმნილი მოდული არ არის საკმარისი პირობა მის დასაძლევად და სტუდენტს დამატებითი ხელშეწყობა სჭირდება, დაწესებულება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტთან ერთად განიხილავს სტუდენტისთვის დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროებასა და შესაძლებლობას. ამ ტიპის ცვლილებებმა, შესაძლოა, მოდულის შინაარსი და სწავლა-სწავლების/ინსტრუქტაჟის პროცესი მნიშვნელოვნად ხელმისაწვდომი გახადოს კონკრეტული სტუდენტისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დამატებითი მხარდასაჭერი სერვისების დროული მიწოდების მიზნით აკადემია უზრუნველყოფს მობილობისა და სივრცითი ორიენტაციის ტრენერის, ჟესტური ენის თარჯიმნის, ბრაილის შრიფტის მცოდნე სპეციალისტის, მსხვილი შრიფტით შედგენილი ტექსტისა და ტექსტის გახმოვანების პროგრამის, რომელსაც მხედველობის სირთულეების მქონე ადამიანი იყენებს, ან სხვ სერვისების მიწოდებას.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**

დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს - შემოსავლების და ხარჯების სახეობას. ხარჯების ნაწილი ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას, სახარჯ მასალებს და კომუნალურ ხარჯებს. ასევე, ადმინისტრირების, მივლინების და სხვა ხარჯებს. პროგრამის განხორციელებისთვის აკადემია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას და იყენებს საკუთარ სახსრებს. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
3. შესყიდვის დოკუმენტები-ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტები;
4. მემორანდუმები;
5. პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი;
6. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას.**

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“, სადაც მე-6 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები.

მოქმედი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება რეგულარულ შეფასებას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება გამოკითხვებისა და უფლებამოსილი პირების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული, ყოველწლიური შეფასების გზით;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასებას ახორციელებენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასება გულისხმობს:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი;

ბ) საუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვება ურთიერთდასწრების გზით;

გ) პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დ) სასწავლო მასალის მონიტორინგი;

ე) სასწავლო გარემოს მონიტორინგი;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო მასალის პერიოდული შემოწმება;

ზ)კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზი;

თ) გარე ფაქტორების გათვალისწინება (საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება).

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“, მე-4 მუხლში გაწერილია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საფუძველია პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგებით გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან და სხვა. ინფორმაცია ცვლილების შესახებ დადგენილი წესით ეცნობება აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და პროცესში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებს. თუ განსახორციელებელი ცვლილება თავის მხრივ ცვლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროფესიული ცენტრის შიდა გადაწყვეტილება განსახილველად ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საბოლოო გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ მიიღება რექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივის აქტის საფუძველზე და ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“,
2. ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა უზრნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; აკადემიას შემუშავებული აქვს კალენდარული გეგმის ფორმა, დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 25-ე მუხლის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე შესათანხმებლად წარუდგენს სასწავლო პროცესზე პასუხიმგებელ პირს კალენდარულ გეგმას, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი ,,ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია და დამტკიცებულია სასწავლო გეგმა, რომელშიც მოდულების დალაგებულია ლოგიკური თანამიმდევრობით. სასწავლო გეგგმა ითვალისწინებს ყოველკვირეულ დატვირთვას, დასვენების კვირებს და ა..შ ქართულენოვანი სტუდენტებისთვის სწავლა გრძლედება 65 კვირა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 105 სასწავლო კვირა. სასწავლო გეგმა აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამისათვის „ტვირთების ექსპედირება" დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ფიქსირდებოდა გამტარობის გადაფარვა პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში, კერძოდ, პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმების ფარგლებში ობიექტს შეუძლია მიიღოს არაუმეტეს 5 სტუდენტი თითოეული პროგრამისთვის, რაც ვიზიტის დროსვე ჩასწორდა.(აკადემიის რექტორის 16.07.24 ივლისის #01-187) შესაბამისად, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

აკადემიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შპს ,,ექსპრეს ტრანს - შიპმენთ სერვისეზ", შპს ,,ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ", შპს ,,სოფმარ" და ,,ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი" ავტორიზაციის ვადით. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელს შეუწყობენ პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გაანალიზებასა და განზოგადებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ- ჩვევების გამომუშავებას, შესაბამის სფეროში დარგობრივი უნარების გაღრმავებას. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმები მოიცავს ისეთ პუქნტებს, როგორიცაა მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე გატანილი მოდულები (პრაქტიკის ობიექტზე გატანილი სწავლის შედეგები), პროფესიული სტუდენტის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარანტიები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, მემორანდუმი გაფორმებულია ერთდროულად 5-5პროფესიული სტუდენტის პრაქტიკაზე მიღების პირობით, პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსი ჩამონათვალი.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება დარგის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების გზით, რასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზრვრული სწავლების მეთოდები და პრაქტიკის განხორციელებისთვის განსაზღვრული თანამედროვე აღჭურვილეობა, ტენოლოგიები, რომელიც წარმოდგენილია როგორც დაწესებულების, ასევე პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 37) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დაგეგმვისა და შემუშავების წესს, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში. რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სტუდენთა განსხვავებული საჭიროებების, მათი აკადემიური მომზადების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგებაშემდეგ შემთხვევებში: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის; ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ); გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ); დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას; ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ); ვ) პროფესიული სტუდენტის განცხადების და/ან პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართვის საფუძველზე, ცენტრის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის განხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით და მისი ჩართულობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის განხორციელდება პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით და მისი ჩართულობით.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შპს ,,ექსპრეს ტრანს - შიპმენთ სერვისეზ“ შპს ,,სოფმარ“ და ,,ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმები მოიცავს ისეთ პუქნტებს, როგორიცაა მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე გატანილი მოდულები (პრაქტიკის ობიექტზე გატანილი სწავლის შედეგები), პროფესიული სტუდენტის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსი ჩამონათვალი.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, აკადემიის რექტორის ბრძანებით (#01-146 14.06.2024) ,,პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესები“ განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია - მოვალეობები. დოკუმენტში გაწერილია რისკები, უსაფრთხო მუშაობისათვის გასათვალისწინებელი წესები, სამუშაოს შესრულებისას არსებული მოთხოვნები და უსაფრთხოების ნორმები. დარგის სპეციფიკა არ საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებულ, განსხვავებულ და დამატებით ნორმებს. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება თავის მხრივ ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიას. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთამ გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკის ობიექტზე პირველივე ვიზიტისას უტარდება უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებული ინსტურქტაჟი, რაც დადასტურდება ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცვის სპეციალური ჟურნალით. შესაბამისად, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
2. ურთიერთთანამრომლობის მემორანდუმი;
3. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტემის გამართული და ეფექტიანი მუშაობა რეგულირდება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", სადაც განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას – ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია, დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, ვერიფიკაცია;

ბ)პროცესის ვერიფიკაცია;

გ)მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. საბოლოო დასკვნა რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული ცენტის ხელმძღვანელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების - შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების აღრიცხვისა და შენახვის ვადების დაცვა რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. (მუხლი 26. მუხლი 25). დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება ახორციელებს მტკიცებულებების აღრიცხვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელ შეფასებასა. შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ. პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, პროფესიული განათლების მასწავლებლი აცნობს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პიროვნული თავისებურებებიდან და ინტელექტუალუტი შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსხვავებულია მიდგომაც. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესების ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

2. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა

მექანიზმი - ვერიფიკაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართები:

1. ვიზიტის დღის წესრიგი
2. სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, ფოთის ფილიალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომის ოქმი N47
3. რექტორის 2024 წლის 16 ივლისის №01-187 ბრძანებით შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

31.07.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: